

ბიკამერალიზმის დილემა ქართულ კონსტიტუციონალიზმში

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“. საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული არაერთი ცვლილების მიუხედავად ორპალატიანი პარლამენტის ჩამოყალიბების ნება უცვლელია და დღემდე ძირითადით დადგენილია რომ აღნიშნული პირობის დადგომის შემდეგ საქართველოს პარლამენტი იქნება ორპალატიანი.

მონოკამერული მოდელიდან ბიკამერულზე გადასასვლელად იურისდიქციის სრულად აღდგენის, შემდეგ დღის წესრიგში დადგება შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები, სადაც დეტალურად განისაზღვრება, სხვა საკითხებთან ერთად, პალატების ფორმირების საკითხი, პალატების ფუნქციები, მოწყობა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედება, თავისთავად აუცილებლად მოითხოვს დამატებით საკონსტიტუციო ცვლილებებს, საქართველოს კონსტიტუცია მკაფიოდ აფიქსირებს ნებას, რომ განსაზღვრული პირობის დადგომის შემდეგ საქართველოს პარლამენტი იქნება ორპალატიანი.

ქართულ კონსტიტუციონალიზმში ოდიდგანვე აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა ორპალატიანი პარლამენტის საკითხი¹ და დღემდე არ არსებობს ქართულ სამეცნიერო თუ პოლიტიკურ წრეებში კონსენსუსი ბიკამერალიზმის დილემის ირგვლივ. რა თქმა უნდა, ორპალატიანი პარლამენტი, თავისი შინაარსით, სცდება ოდენ პარლამენტის სტრუქტურული ორგანიზაციის საკითხს და კონსტიტუ-

¹ გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, 2017, 259.

ციურ-სამართლებრივი თუ პოლიტიკური საკითხების მთელ სპექტრთან არის დაკავშირებული.²

სტატიის ფარგლებში განიხილება ორპალატიანი პარლამენტის თაობაზე საქართველოში არსებული საკონსტიტუციო მონესრიგება, საკითხის ირგვლივ არსებული მოსაზრებები, პოზიციები, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ექსპერტის, მეცნიერის, მკვლევრის მიერ წარმოდგენილი ორპალატიანი პარლამენტის თაობაზე დეტალური კვლევა თუ კანონპროექტი. ნაშრომის ფარგლებში, ასევე მცირედით განხილულია საკითხის ირგვლივ საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო მონესრიგება და გამოცდილება.

1. ბიკამერალიზმის დილემა საზღვარგარეთის ქვეყნებში

ბიკამერალიზმისა და მონოკამერალიზმის მომხრეებს შორის დღემდე დაუსრულებელი საუკუნო დავაა. თითოეული იდვის მომხრეს საკუთარი არგუმენტი გააჩნია და მხოლოდ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს შიგა მოწყობის საკითხს არ უკავშირდება. ევროპის ქვეყნებში ორპალატიანი პარლამენტი წარმოადგენს არამართო საპარლამენტო მოწყობის ფორმასთან, არამედ, ასევე, ქვეყნის მთელ პოლიტიკურ სისტემასთან დაკავშირებულ საკითხს.³

ბიკამერალიზმი, პოლიტიკური თუ ინსტიტუციური ხასიათის კომპარატივისტულ დებატებში, შეიძლება ითქვას, განიცდის არაერთგვაროვან დამოკიდებულებას. სენატი ტრადიციულ დემოკრატიებში, ერთგვარ მყარ არჩევანად გვევლინება, თუმცა, მეორე

² მაჭარაძე ზ., ორპალატიანი პარლამენტის იდეა საქართველოს კონსტიტუციაში, ნიგნში: კონსტიტუციონალიზმი, მიღწევები და გამოწვევები, მ. უგრეხელიძისა და ბ. ქანთარიაშ რედაქტორობით, თბილისი 2019, 713.

³ Sadikovich C., Role of the Second Chamber of the Parliamentary Assembly of Bosnia and Herzegovina, in The Role of the Second Chamber in European States, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study N 335/2005 CDL (2006) 011, 12.

მხრივ, ევროპის კონტინენტზე, მთელ რიგ შემთხვევებში, რეფორმირების ობიექტი გახდა, მათ შორის რადიკალურის.⁴

თანამედროვე მსოფლიოში, ბიკამერული პარლამენტი, მხოლოდ ისტორიული ტრადიციების უბრალო გაგრძელებად არ გვევლინება. მაშინ როდესაც, 1970 წლებში ორპალატიანი პარლამენტი 45 სახელმწიფოში ფუნქციონირებდა, დღესდღეობით ეს ციფრი პრაქტიკულად გაორმაგებულია.⁵ რაოდენობის მატება, გარკვეულწილად, დაკავშირებული იგივე პოსტსოციალისტური ბანაკის სახელმწიფოების მხრიდან ორპალატიანი პარლამენტის სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანთან.

Inter-parliamentary union-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, მსოფლიოს 42.2% ქვეყანაში (სულ 81) ფუნქციონირებს ბიკამერული პარლამენტი, ხოლო 57.8% ქვეყანაში (სულ 111) მონოკამერული პარლამენტი. იგივე წყაროს თანახმად, ევროპის მასშტაბით 35.2% (17) ქვეყანაშია ორპალატიანი სტრუქტურა (შესაბამისად – 64.6% [31] ქვეყანაში ერთპალატიანი). ამერიკის კონტინენტზე სახელმწიფოთა უმრავლესობა ორპალატიანი პარლამენტის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს (57.1% [20] ორპალატიანია, ხოლო 42.9% [15] ქვეყანა).⁶

გეოგრაფიული თვალსაზრისით, ბიკამერული პარლამენტის მქონე სახელმწიფოთა მიერ მოცული ტერიტორია გაცილებით ჭარბობს ერთპალატიანი პარლამენტის მქონე სახელმწიფოებისას. რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობას, აღსანიშნავია, რომ ჩინეთში, რომლის მოსახლეობაც მილიარდნახევარს აჭარბებს, საკანონმდებლო ორგანო მონოკამერულია, ხოლო სანტა ლუჩიაში, რომლის მოსახლეობას მხოლოდ 170.000 შეადგენს საკანონმდებლო ორგანო ორპალატიანია.⁷

⁴ იხ., Le Camere alte in Europa e negli Stati Uniti, settembre 2013, n. 54, a cura di Marcelli F., Tutinelli R., Roma, 2013, 9-10.

⁵ Bicameralism around the World: Position and prospects,

იხ., <<http://www.senat.fr/senatsdumonde/introenglish.html#fn4>> [15.10.2021]

⁶ იხ., <https://data.ipu.org/compare?field=country%3A%3Afield_structure_of_parliament#pie> [15.10.2021]

⁷ თუმცა, უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომელიც ბიკამერალურ პარლამენტს გარკვეულწილად მაინც

როგორც ითქვა, ბიკამერული პარლამენტი თანამედროვე სახელმწიფოთა დიდი ნაწილისთვის აღმოჩნდა მიმზიდველი. არაერთმა სახელმწიფომ, მათ შორის, XXI საუკუნეშიც მიიღო გადაწყვეტილება ერთპალატიანი პარლამენტის ორპალატიანით ჩანაცვლების თაობაზე.⁸

თანამედროვე მსოფლიო პარლამენტარიზმისთვის საპირისპირო პროცესსაც იცნობს. მაგალითად ნორვეგიის პარლამენტი 2009 წლიდან ერთპალატიანი გახდა და გაუქმდა მისი ოდელსტინგად და ლაგტანგად დაყოფა.⁹

გარდა აღნიშნულისა, იგივე ევროპის მასშტაბით, ერთპალატიანი პარლამენტი ერთპალატიანით შეიცვალა ხორვატიაში (2001 წ.), დანიაში (1953 წ.), ესტონეთში (1992წ), საბერძნეთში (1935წ), პორტუგალიაში (1910წ), შვედეთში (1970წ), უნგრეთში (1960წ). მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთსა და უნგრეთში მონოკამერულ პარლამენტზე გადასვლა თუ იმ დროს მოქმედ რეჟიმთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, ეს არჩევანი ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგაც იქნა გაზიარებული. აღსანიშნავია, რომ რიგ ქვეყნებში, განხორციელებულ რეფორმებს შედეგი ჰქონდა და საკმაოდ ეფექტიანად ფუნქციონირებს საკანონმდებლო ორგანოს ორპალატიანი სტრუქტურა.¹⁰

აკავშირებს მოსახლეობის რაოდენობას და ჩინეთი, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისად არის მიჩნეული. იხ., მაჭარაძე ზ., მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკამერალურ პარლამენტში (ქართულ პერსპექტივასთან კავშირში), თბილისი, 2017, 31.

⁸ დაწვრილებით იხ., ყურაშვილი კ., ჩოკორაია კ., ბუჩუკური ა., ბიკამერალიზმის დილემები, ბათუმი, 2011, 14.

⁹ აღნიშნული, მეტწილად, განპირობებული იყო სტორტინგის ორპალატად დაყოფის ფორმალური ხასიათით, ვინაიდან ნორვეგიული სტორტინგი 2009 წლამდეც, ფაქტობრივად, უნიკამერული იყო. დაწვრილებით იხ., იქვე, 14-15.

¹⁰ Le Camere alte in Europa e negli Stati Uniti, a cura di Marcelli F., Tutinelli R., Roma, 2013, n. 54, 9-10,

იხ., <<http://www.senato.it/service/PDF/PDFServer/BGT/00739601.pdf>> [15.10.2021]

2. ბიკამერალიზმის დილემა პირველ რესპუბლიკაში

1921 წლის 21 თებერვლს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ქვეყნის პირველი კონსტიტუცია. ეს იყო საქართველოს პოლიტიკოსთა და სამართლის მცოდნეთა თითქმის სამწლიანი შრომის შედეგი. კონსტიტუცია იქმნებოდა რთულ და არასტაბილურ საგარეო და საშინაო პირობებში. ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტთა შეფასებით, 1921 წლის კონსტიტუციის სახით ქართველმა კანონმდებლებმა მაინც შეძლეს მოემზადებინათ იმდროინდელი¹¹ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოწინავე, პროგრესული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უზენაესი სასამართლო აქტი, რომელშიც ასახულია იმდროინდელ დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლადგაბატონებული, ასევე, ჯერ კიდევ თეორიაში არსებული, პრაქტიკაში განუხორციელებელი ყველაზე პროგრესული, სამართლებრივ-პოლიტიკური მოსაზრებები და მიმდინარეობები.¹²

მონოკამერალური მოწყობა არც პირველი კონსტიტუციის მიღებისას იყო ერთხმად გაზიარებული მოდელი და არაერთი ავტორი მხარს უჭერდა ბიკამერალური პარლამენტის იდეას. თუმცა, როგორც ცნობილია, არ იქნა გაზიარებული იმ დროს მსოფლიოს საკონსტიტუციო პრაქტიკაში საკმაოდ ფართოდ აპრობირებული ორპალატიანი პარლამენტის იდეა და კონსტიტუციის 46-ე მუხლის თანახმად, პარლამენტი ერთპალატიანი სტრუქტურით ჩამოყალიბდა.¹³

¹¹ სიორიძე მ., საქართველოს პირველი კონსტიტუციის სტამბურად გამოქვეყნების ადგილი, დრო და გარემოებები, ნიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011.

¹² პაპუაშვილი გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, ბათუმი, 2011, 6.

¹³ მაჭარაძე ზ., ორპალატიანი პარლამენტის იდეა საქართველოს კონსტიტუციაში, ნიგნში: კონსტიტუციონალიზმი, მიღწევები და გამოწვევები, მ. უგრეხელიძისა და ბ. ქანთარიაშვილის რედაქტორობით, თბილისი 2019, 714.

ორპალატიანი პარლამენტის მომხრეები ძირითადად ეროვნულ-დემოკრატები იყვნენ. სპირიდონ კედია მიიჩნევდა, რომ საქართველოს პარლამენტში კანონების მიღება იყო გაადვილებული, გამარტივებული და ორპალატიანი კანონმდებლობა კი უზრუნველყოფდა კანონის რამდენჯერმე განხილვას სხვადასხვა თვალსაზრისით. გარდა ამისა, სპირიდონ კედიას აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ამ კითხვისთვის ტემპერამენტს. „– ახლა კანონი იკითხება ერთხელ, – მაგრამ სამჯერაც რომ წაიკითხოს, მაინც შედეგი ერთი იქნება, რადგანაც ერთი ტემპერამენტის ხალხი ისმენს და მსჯელობს. მეორე პალატა რომ იყოს, მაშინ იქნება უფრო სხვა ტემპერამენტის ხალხი, სხვა სისტემით არჩეული, რომელნიც სხვა თვალთადასინჯავენ კანონს, უფრო შეატყობენ ნაკლს. დემოკრატიული წესების მიხედვით, რომელიც შემოღებულია საქართველოში, შეიძლებოდა ერობის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ მეორე პალატაში.“¹⁴

რაც შეეხება ერთპალატიანი პარლამენტის მომხრეებს, მათ რამდენიმე არგუმენტი გააჩნდათ. მათ შორის უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოს უკვე ჰქონდა კარგი და ნაყოფიერი გამოცდილება ერთპალატიანი პარლამენტის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღებაზე საკმაო გავლენა იქონია ინგლისისა და ბელგიის მაგალითებმა.¹⁵ იმავდროულად, პროექტის ავტორები ზედა პალატაში ხედავდნენ სენატის „ეროვნების პოლიტიკურ დანესებულებებად გადაქცევას,“ რაც „ქვეყანას მხოლოდ ზიანს მოუტანდა“.¹⁶ უმრავლესობის აზრით, საქართველოში, რომელიც არ წარმოადგენდა ფედერაციულ რესპუბლიკას, აბსოლუტურად იდენტური წესით დაკომპლექტებული და მსგავსი უფლებამოსილებებით აღჭურვილი ზედა პალატა გამოიწვევდა საქმის

¹⁴ იხ., ქანთარია ბ., დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბილისი, 2012, 232.

¹⁵ იხ., იქვე, 233-236.

¹⁶ იქვე, 232.

დუბლირებას, გართულებებსა და პროცესების გაჭიანურებას.¹⁷ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორპალატიანი პარლამენტის მოწინააღმდეგენიც კი აცხადებდნენ და აღიარებდნენ, რომ „ზედა პალატის დანიშნულებაა, რომ კანონები იყოს „მეტი გამოცდილების ნაყოფი“. ¹⁸

3. ორპალატიანი პარლამენტის საკითხი კონსტიტუციის მიღების დროს

1993-95 წლებში საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში არაერთი პროექტი იყო წარმოდგენილი.¹⁹ კონსტიტუციის პროექტებში პარლამენტი სხვადასხვა კონცეფციის საფუძველზე იყო ჩამოყალიბებული. ზოგიერთი პროექტი ითვალისწინებდა ერთპალატიან პარლამენტს, სხვები – ორპალატიანს.²⁰

უნდა აღინიშნოს, რომ „დიდი წინააღმდეგობა შეხვდა დებულებას საკანონმდებლო ხელისუფლების ორ პალატად – პარლამენტად (ქვედა პალატა) და სენატად (ზედა პალატა) ჩამოყალიბების შესახებ. ასევე საკამათო ტერიტორიული მოწყობის საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ თემასთან. შემთანხმებელ კომისიაში დისკუსიების შემდეგ, 1995 წლის 30 ივლისს, შევარდნაძემ შესთავაზა კომისიის წევრებს, რომ პარლამენტში ფორმალურად ყოფილიყო ორი პალატა, მაგრამ სენატის არჩევამდე ქვედა პალატას (ანუ პარლამენტს) ემოქმედა როგორც ერთადერთ ლეგიტიმურ საკანონმდებლო ორგანოს. ამ კომპრომისით იგი, უპირველეს ყოვლისა, დაეთანხმა ტრადიციონალისტთა და ეროვნულ-დემოკრატიკა მოთხოვნებს. იმავდროულად, შევარდნაძე ამით დაშორდა იდეას, რომ

¹⁷ იხ., ქანთარია ბ., პარლამენტი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში, ნიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი, 2011, 151-163.

¹⁸ იხ., ქანთარია ბ., დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბილისი, 2012, 232.

¹⁹ დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2011, 62-63.

²⁰ ბაბუკი ვ., კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), კ. კუბლაშვილის თარგმანი, თბილისი, 2002, 109.

ტერიტორიული მოწყობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილიყო არჩევნებამდე.”²¹

როგორც ცნობილია, საბოლოოდ საქართველოს პარლამენტმა 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო ძირითადი კანონი, რომელმაც მართალია არ უკუაგდო ორპალატიანი პარლამენტის საკითხი, თუმცა განსაზღვრა, რომ შესაბამისი პირობების დადგომამდე იმოქმედებდა ერთპალატიანი პარლამენტი.

4. ორპალატიანი პარლამენტი და საკონსტიტუციო რეფორმები

კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე ორპალატიანი პარლამენტის იმპლემენტაციის საკითხი არაერთხელ გამხდარა განხილვის საგანი. ამგვარი სურვილი პრეზიდენტ შევარდნაძესაც აქვს გამოთქმული. მისი მოსაზრებით ორპალატიანი პარლამენტის დამკვიდრებით კიდევ უფრო ეფექტური გახდებოდა პარლამენტის მუშაობა.²²

ორპალატიანი პარლამენტის საკითხის ირგვლივ მსჯელობა 2009-2010 წლების სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობის დასაწყისშივე დაიწყო,²³ თუმცა არ იქნა ამ მიმართულებით საბოლოოდ გადაწყვეტილება მიღებული.²⁴ მიუხედავად ამისა, რეფორმის შემდეგ ძირითადად კანონმა არ გააუქმა და კვლავინდებურად შეინარჩუნა ჩანაწერი შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედების თაობაზე.

2017 წლის რეფორმის ფარგლებში ორპალატიანი პარლამენტის შესახებ კონსტიტუციურმა ჩანაწერმა გარკვეული ცვლილებები

²¹ იქვე, 93.

²² პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პოზიცია ორპალატიანი პარლამენტის შემოღებასთან დაკავშირებით იხ., <http://civil.ge/geo/article.php?id=2674> [15.10.2021]

²³ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ავთანდილ დემეტრაშვილმა კომისიას შესაბამისი კონსტიტუციური კანონის პროექტი წარუდგინა, რომელიც ორპალატიან პარლამენტს ითვალისწინებდა. თუმცა, როგორც აღინიშნა, პროექტი არ იქნა მხარდაჭერილი. იხ., დემეტრაშვილი ა., საქართველოს კონსტიტუციური ქრონიკები, 2009-2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში, ბათუმი, 2012, 174-199.

²⁴ იხ., იქვე, 67.

განიცადა. ცვლილება იყო როგორც რედაქციული, ასევე შინაარსობრივი ხასიათის. ერთი მხრივ, ნორმა კონსტიტუციის პირველი თავის ნაცვლად მე-3 თავში გაიწერა. კერძოდ, ახალი რედაქციის თანახმად, ორპალატიან პარლამენტს კონსტიტუციის მე-4 მუხლის ნაცვლად 37-ე მუხლის პირველი პუნქტი აწესრიგებს. იმავდროულად, მე-4 მუხლის ოთხპუნქტიანი მუხლი ჩაანაცვლა ერთპუნქტიანმა ნორმამ.²⁵

რაც შეეხება შინაარსობრივ ნაწილს, 1995 წლიდან 2017-2018 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებამდე ძირითადი კანონი განსაზღვრავდა, რომ „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.“²⁶ რეფორმის შემდეგ ნორმა განსხვავებული შინაარსის მქონე რედაქციით ჩამოყალიბდა. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა“. როგორც კონსტიტუციური ნორმის ახალი ფორმულირებიდან ირკვევა, ბიკამერალური პარლამენტის ამოქმედების საკითხი დაუკავშირდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენას.

5. პალატების ფორმირება

5.1. საზღვარგარეთის პრაქტიკა

საზღვარგარეთის ქვეყნებში ზედა პალატების უმრავლესობა აირჩევა არაპირდაპირი ან შერეული წესით. მეორე მხრივ კი, ქვედა პალატები, როგორც წესი აირჩევიან პირდაპირი წესით, უმეტეს შემთხვევაში პროპორციული წესით. უნდა აღინიშნოს რომ პირდაპირი წესით ზედა პალატის არჩევა, თავისთავად არ გულისხმობს მისთვის ძლიერი ზედა პალატის სტატუსის მინიჭებას. ასე მაგა-

²⁵ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

²⁶ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

ლითად, პირდაპირი წესით აირჩევიან ზედა პალატები პოლონეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, რუმინეთში, შვეიცარიაში და შეერთებულ შტატებში. თუმცა, ხსენებული სახელმწიფოებიდან მხოლოდ შვეიცარიისა და შეერთებული შტატების ბიკამერული სისტემა შეიძლება მივიჩნიოთ სიმეტრიულ ბიკამერალიზმად. რუმინეთში, 2003 წლის რეფორმის შედეგად, სენატმა ნდობის პროცედურაში ჩართულობა შეინარჩუნა, თუმცა საკანონმდებლო პროცესში თანაბარი მონაწილეობის ხარისხი დაკარგა. პოლონეთსა და ჩეხეთში ქვედა პალატა უდავოდ შედარებით მეტი უფლებამოსილებით არის აღჭურვილი.²⁷ რიგ შემთხვევებში ზედა პალატები აირჩევიან „კომბინირებული“ სახით, კერძოდ გვხვდება პირდაპირი და არაპირდაპირი წესით არჩეული დეპუტატები, ან ნაწილი არჩეულია და მეორე ნაწილი კი – დანიშნული.²⁸

საზღვარგარეთის ქვეყნების საარჩევნო სისტემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაში ქვედა პალატა აირჩევა პროპორციული სისტემის საფუძველზე. თუმცა გვხვდება ასევე ქვეყნები სადაც მაჟორიტარული და შერეული სისტემის საფუძველზე ხდება ქვედა პალატების დაკომპლექტება.²⁹

რაც შეეხება ზედა პალატებს, სურათი შედარებით არაერთგვაროვანია და ნაწილი არჩევანს აკეთებს მაჟორიტარული, ისევე როგორც, შერეული სისტემის სასარგებლოდ.³⁰

5.2. საკონსტიტუციო ჩანაწერი

საქართველოს კონსტიტუციაში პალატების ფორმირების საკითხი ზოგადად არის განწერილი და აღნიშნულია, რომ „პალატების

²⁷ <<https://www.senato.it/service/PDF/PDFServer/BGT/00739601.pdf>> [15.10.2021]

²⁸ იქვე.

²⁹ იხ., *Le camere alte nei paesi extraeuropei*, a cura di R. Tutinelli, Servizio studi del Senato, marzo 2014, n. 118, 165-166, იხ., მაჭარაძე ზ., მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკამერალურ პარლამენტში (ქართულ პერსპექტივასთან კავშირში), თბილისი, 2017, 82-83.

³⁰ იხ., იქვე, 83.

შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი“.³¹

მიუხედავად ზემოხსენებულისა, კონსტიტუცია ზოგადი ხასიათის, თუმცა კი ძალიან მნიშვნელოვან მითითებას, მაინც გვთავაზობს და ადგენს, რომ რესპუბლიკის საბჭო უნდა აირჩეს პროპორციული წესით, ხოლო სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისგან.³²

კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი, სენატის წევრები უნდა აირჩეს მაჟორიტარული თუ პროპორციული წესით. საქართველოს პარლამენტის დღეს მოქმედი საარჩევნო სისტემა კრიტიკის ობიექტია. არაერთი პოლიტიკური აქტორი, ექსპერტი, სპეციალისტი მოითხოვს საქართველოს პარლამენტის სრულად პროპორციული წესით დაკომპლექტებას.³³ რა თქმა უნდა ზოგადად, თავისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორც მაჟორიტარულ, ასევე პროპორციულ სისტემას ჰყავს თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეებიც.³⁴ უნდა ითქვას, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის განმავლობაში იყო ინიციატივა, რომ გადავსულიყავით ბიკამერულ სისტემაზე, რითაც შესაძლებელი იქნებოდა ქვედა პალატის სრულად პროპორციული წესით დაკომპლექტება და სენატის წევრთა არჩევა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. ამ ფორმით შესაძლებელი გახდებოდა ამ ორივე სისტემის დადებითი მხარეების გამოყენება და არა საერთოდ უარყოფა.³⁵

³¹ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

³² იქვე.

³³ იხ., <<http://old.1tv.ge/ge/news/view/159084.html>> [15.10.2021], <<https://info.parliament.ge/#law-drafting/13831>> [15.10.2021], <<https://www.gyla.ge/ge/post/saarchevno-sistemaze-mmartveli-partiis-gadatsyvetileba-miughebelia#sthash.17EIHpGM.dpbs>> [15.10.2021].

³⁴ მაჟორიტარულ სისტემას მხარს უჭერს საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილი. იხ., <<http://old.1tv.ge/ge/news/view/161060.html>> [15.10.2021].

³⁵ იხ., <http://www.for.ge/view.php?for_id=49077&cat=2> [15.10.2021].

6. პალატების უფლებამოსილებები

6.1. სიმეტრიული და ასიმეტრიული ბიკამერალიზმი

საკანონმდებლო ორგანოს ორპალატიანი სტრუქტურა, როგორც დავინახეთ, არაერთ თანამედროვე სახელმწიფოში განაგრძობს ფუნქციონირებას. შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის განმავლობაში მან კიდევ უფრო მეტად გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობები. თუმცა, ფუნქციური თვალსაზრისით, მთელ რიგ შემთხვევებში, განსხვავებული ხასიათი შეიძინა. ხშირ შემთხვევებში ქვედა პალატები უფრო მძლავრი უფლებამოსილებებით აღიჭურვნენ, ვიდრე ნაკლებად დემოკრატიული სისტემის ან განსხვავებული პრინციპების საფუძველზე დაკომპლექტებული ზედა პალატები. ერთი სიტყვით, XX საუკუნეში გავრცელებას იწყებს ე.წ. ასიმეტრიული ბიკამერალური მოდელები, რომელთაც „სუსტ“ ბიკამერალიზმსაც უწოდებენ.³⁶

საზღვარგარეთის ქვეყნების ანალიზის შედეგად ცალსახაა ძლიერი ზედა პალატის მქონე სახელმწიფოთა რაოდენობა უდავოდ უმცირესობაშია.³⁷ სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა დღეის მდგომარეობით არჩევანს აკეთებს ასიმეტრიულ ბიკამერალიზმზე, სადაც ქვედა პალატა შედარებით უფრო ძლიერი ფუნქციური არსენალით არის აღჭურვილი. აღნიშნული უკავშირდება პარლამენტის როგორც კანონშემოქმედებით, ასევე მაკონტროლებელი და სხვა ფუნქციების საკითხებს.

სუსტი ზედა პალატის პირობებში იგივე კანონშემოქმედებითი ფუნქციის განხორციელების პროცესში ზედა პალატა შედარებით ნაკლები ხარისხით არის ჩართული. მაგალითად ან არ სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით, ან პალატებს შორის

³⁶ იხ., Attlande di Diritto Pubblico Comparato a cura di Ferrari G.F., con la collaborazione di Mazza M., Vedeschi A., 2000, 224, aseve, Mortati C., Le istituzioni, 472. cit., Palermo F., Nikolini M., Il Bicameralismo, Pluralismo e limiti della rappresentanza in prospettiva comparata, 2013, 74.

³⁷ მაჭარაძე ზ., მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკამერალურ პარლამენტში (ქართულ პერსპექტივასთან კავშირში), თბილისი, 2017, 60.

კონკრეტული კანონის თაობაზე განსხვავებული პოზიციის შემთხვევაში, საბოლოო და გადამწყვეტი სიტყვა სწორედ ქვედა პალატას ეკუთვნის. აღსანიშნავია ასევე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია მთავრობის ფორმირებასთან. სუსტი ზედა პალატის პირობებში, როგორც წესი, ზედა პალატა არ მონაწილეობს ხოლმე მთავრობის ფორმირების პროცედურაში. აქვე უნდა ითქვას, რომ რიგ შემთხვევებში, შესაძლოა კონკრეტულ კომპეტენციასთან დაკავშირებით ორივე პალატა თანაბარი უფლებამოსილებით იყოს აღჭურვილი და სხვა საკითხებთან მიმართებაში კვლავინდებურად ქვედა პალატას ჰქონდეს მეტი ძალაუფლება.

6.2. ქართული პერსპექტივა

საქართველოს კონსტიტუციაში პალატების უფლებამოსილებები არ არის გაწერილი და, როგორც კონსტიტუციაშივეა აღნიშნული,³⁸ ის ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედების შემდეგ განისაზღვრება ორგანული კანონით.

ქართველ მეცნიერ-პრაქტიკოსებში ერთგვარი უპირატესობით სარგებლობს შედარებით სუსტი უფლებამოსილებებით აღჭურვილი სენატის იდეა. ამ თვალსაზრისით საინტერესო პოზიციას აფიქსირებს ავტორთა ერთი ნაწილი. მათ მიაჩნიათ, რომ „საქართველოს კონსტიტუციით მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს საკითხები, რომელთა თაობაზეც ორივე პალატაში სავალდებულო წესით უნდა განხორციელდეს საპარლამენტო მოსმენები (განხილვები), საკითხების გან, რომელთა შესახებაც საკანონმდებლო პროცესის ძირითადი ტვირთი რესპუბლიკის საბჭოს ექნება, ხოლო სენატი გამარტივებული პროცედურებით („დუმილით“ მოწონება, ერთი მოსმენით დამტკიცება და სხვა) იქნება ჩართული.“ ამავე ავტორთა მოსაზრებით, სენატის სავალდებულო განხილვას და შესაბამისი პროცედურების გავლას უნდა დაექვემდებაროს საკითხები დაკავშირებული: კონსტიტუციის მიღება/კონსტიტუციის გადასინჯვა; კონსტიტუ-

³⁸ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ციური შეთანხმების დამტკიცება; საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირება, დენონსირება და გაუქმება; ორგანული კანონების მიღება; კანონების მიღება, თუ ის ეხება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს; ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღება. სხვა ყველა შემთხვევაში სრულყოფილი საკანონმდებლო პროცესი რესპუბლიკის საბჭოში უნდა წარიმართოს. სამი მოსმენით მიღების შემდეგ სენატი მას გამარტივებული წესით (1 მოსმენით) განიხილავს და კენჭს უყრის. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს კანონპროექტის სენატში განხილვის გარეშე, „დუმილით“ მიღებაც.³⁹

პირველგანმხილველ პალატად იყო განსაზღვრული (გარდა კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისისა) რესპუბლიკის საბჭო პროფესორ დემეტრაშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მომზადებული კონსტიტუციის ცვლილებათა სამუშაო ვარიანტით, რომელიც, თავის მხრივ, ორპალატიან პარლამენტს ითვალისწინებდა. პროექტის თანახმად, რესპუბლიკის საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტი გადაეცემოდა სენატს. თავის მხრივ, სენატს შეეძლო მიეღო ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: კანონპროექტის მოწონების შესახებ; კანონპროექტზე არგუმენტირებული შენიშვნების შესახებ; და კანონპროექტის უარყოფის შესახებ. სენატის მიერ მოწონებული კანონპროექტი გადაეცემოდა პრეზიდენტს ხელმოწერისა და გამოქვეყნებისათვის. სენატის მიერ უარყოფილი ან არგუმენტირებული შენიშვნების გათვალისწინებით მიღებული კანონპროექტი უბრუნდებოდა რესპუბლიკის საბჭოს. თუ სენატის შენიშვნებს მიიღებდა რესპუბლიკის საბჭოს მიერ კანონპროექტი გადაეცემოდა პრეზიდენტს. თუ რესპუბლიკის საბჭო არ გაიზიარებდა სენატის შენიშვნებს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის, სხვა ფინანსურ ან საგადასახადო საკითხებს ეხებოდა, კანონპროექტი საქართველოს ეროვნულ კრებაში⁴⁰

³⁹ იხ., ყურაშვილი კ., ჩოკორაია კ., ბუჩუკური ა., ბიკამერალიზმის დილემები, ბათუმი, 2011, 77-78.

⁴⁰ პროექტის თანახმად, საკანონმდებლო ხელისუფლებას საქართველოში ახორციელებდა საქართველოს ეროვნული კრება, რომელიც შედგებოდა

მიღებულად ჩაითვლებოდა და გადაეცემოდა საქართველოს პრეზიდენტს რესპუბლიკის საბჭოს მიერ მიღებული რედაქციით. სხვა სახის კანონპროექტთა განსახილველად პროექტი ითვლისწინებდა შემთანხმებული კომისიის შექმნას რესპუბლიკის საბჭოსა და სენატის თავმჯდომარეთა თითო-თითო მოადგილის, შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეებისა და პალატების თითო-თითო წარმომადგენლის შემადგენლობით. თუ 14 დღის განმავლობაში შემთანხმებული კომისია მიაღწევდა შეთანხმებას, კანონპროექტს განხილვის გარეშე, კენჭი ეყრებოდა პალატების ერთობლივ სხდო-მაზე. თუ შემთანხმებული კომისიის ფორმატში ვერ მიიღწეოდა შეთანხმება 14 დღის ვადაში, კანონპროექტი ეროვნულ კრებაში უარყოფილად ჩაითვლებოდა და მისი მიღება დადგენილი პროცედურის დაცვით შესაძლებელი იყო ეროვნული კრების პალატათა მხოლოდ მომდევნო ერთ-ერთ სესიაზე.⁴¹

მნიშვნელოვანია აღინიშნოს მთავრობის მიმართ ნდობა/უნდობლობის საკითხის თაობაზე არსებული მიდგომები. 2009-2010 წლებში მოქმედ საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილი ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ორპალატიან პარლამენტს ითვალისწინებდა, მთავრობის ინვესტიტურის პროცესში მხოლოდ რესპუბლიკის საბჭოს ანიჭებდა შესაბამის უფლებამოსილებებს.⁴² მსგავსი პოზიციაა დაფიქსირებული ავტორთა მიერ მომზადებულ კვლევაში, რომელიც ბიკამერალიზმის დილემებს უკავშირდება. ავტორებს მიაჩნიათ, რომ დამკვიდრებული უცხოური პრაქტიკისა და რესპუბლიკის საბჭოს ფორმირების თავისებურებების გათვალისწინებით, მთავრობის ფორმირების, მთავრობაზე კონტროლის განხორციელებისა და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების (უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების) უფლებამოსილება, ასევე, ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის საბოლოო რედაქციით დამტკიცების კომპეტენცია რესპუბლიკის

ორი პალატისგან - რესპუბლიკის საბჭოსა და სენატისგან. პროექტი იხ., დემეტრაშვილი ა., 2009-2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში, საქართველოს კონსტიტუციური ქრონიკები, ბათუმი 2012, 175.

⁴¹ პროექტი იხ., იქვე, 185-186.

⁴² პროექტი იხ., იქვე, 175.

საბჭოს უნდა ჰქონდეს, რამდენადაც ის წარმოადგენს პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატთა წარმომადგენლობას, რომელიც პოლიტიკური კონფიგურაციის სარკეა.⁴³

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სენატის სტატუტისა და უფლებამოსილებების განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იქნება ის წინაპირობები, რომლის საფუძველზეც გახდება შესაძლებელი ორპალატიანი საპარლამენტო სტრუქტურის შემოღება. საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისთვის საერთო-სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებში სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით ჩართულობის უზრუნველყოფას, რა თქმა უნდა, შესაბამისი გავლენა ექნება პალატების სტატუსისა და უფლებამოსილებების განსაზღვრისას.⁴⁴

დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“. ქვეყნის ძირითად კანონში არაერთი, მცირე თუ ფართო მასშტაბიანი ცვლილება განხორციელდა, თუმცა კონსტიტუციით განსაზღვრული პირობის დადგომის შემდეგ, ორპალატიანი პარლამენტის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება დღემდე უცვლელია.

2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში შეიცვალა ორპალატიანი პარლამენტის მომწესრიგებელი კონსტიტუციური ნორმა – რედაქციული თვალსაზრისით, კონსტიტუციის პირველი თავის ნაცვლად გაიწერა მე-3 თავში. ამავდროულად, შე-

⁴³ იხ., ყურაშვილი კ., ჩოკორაია კ., ბუჩუკური ა., ბიკამერალიზმის დილემები, ბათუმი, 2011, 80.

⁴⁴ მაჭარაძე ზ., ორპალატიანი პარლამენტის იდეა საქართველოს კონსტიტუციაში, წიგნში: კონსტიტუციონალიზმი, მიღწევები და გამოწვევები, მ. უგრეხელიძისა და ბ. ქანთარიაშვილის რედაქტორობით, თბილისი 2019, 723.

იცვალა ის პირობები, რომელთა საფუძველზეც ქართულ პერსპექტივაში ამოქმედდება პარლამენტი ორპალატიანი სტრუქტურით. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პარლამენტის ორპალატიან სტრუქტურაზე გადასვლა, ნაცვლად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირებისა და შესაბამისი პირობების დადგომისა, პირდაპირ დაუკავშირდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულად აღდგენას.

ბიკამერალური პარლამენტის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოში მოსაზრებები იყოფა მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედების იდეის უარყოფით მხარეებს შორის განიხილება ძირითადად რამდენიმე გარემოება. მათ შორის ყველაზე ხშირად გამოყენებულ საპირისპირო არგუმენტად ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა სახელდება,⁴⁵ ასევე უარყოფით მხარეებს შორის მოიხსენიება ერთპალატიან პარლამენტთან შედარებით ორპალატიანი პარლამენტის ხარჯიანობა. ნეგატიურ ასპექტებს შორის მოიხსენიებენ საკანონმდებლო თუ სხვა პროცედურების შედარებით უფრო გახანგრძლივებას.⁴⁶ რაც შეეხება ბიკამერალიზმის იდეის მომხრეებს, მათ მიაჩნიათ, რომ ორპალატიანი პარლამენტის პირობებში უკეთაა უზრუნველყოფილი ტერიტორიული წარმომადგენლობა, ასევე სხვადასხვა პროფესიული თუ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლობა, შიდა ინსტიტუციური შეკავება-განონასწორება, უმჯობესდება პარლამენტის მიერ საკანონმდებლო თუ სხვა ფუნქციათა განხორციელება, მათი ხარისხი.⁴⁷ ავტორებს მიაჩნიათ,

⁴⁵ იხ., <http://www.for.ge/view.php?for_id=46874&cat=2> [12.04.2021].

⁴⁶ იხ., ფირცხალაიშვილი ა., ორპალატიანი პარლამენტის პერსპექტივა საქართველოში, <<http://liberali.ge/blogs/view/25863/orpalatiani-parlamentis-perspektiva-saqartveloshi>> [12.04.2021], ყურაშვილი კ., ჩოკორაბია კ., ბუჩუკური ა., ბიკამერალიზმის დილემები, ბათუმი, 2011, 79; ბაბუკი ვ., ფიში ს., რაიჭენბეჭერი, კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისკენ, გერნამიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, ბადენ-ბადენი, 2012, 293-346

⁴⁷ იხ., <http://www.for.ge/view.php?for_id=46874&cat=2> [12.04.2021]; ფირცხალაიშვილი ა., ორპალატიანი პარლამენტის პერსპექტივა საქართველო-

რომ სხვადასხვა პროცედურული გარანტიების დაწესებით⁴⁸ შესაძლებელია ნეგატიურ ფაქტორებს შორის მოხსენიებული გარემოებების უარყოფითი გავლენის შემცირება.⁴⁹

ფუნქციური თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორთა უმრავლესობა მხარს უჭერს ასიმეტრიული ორპალატიანი პარლამენტის იდეას, სადაც სენატთან შედარებით, განსაზღვრული კომპეტენციის განხორციელების პროცესში (იგივე კანონშემოქმედებითი თუ ნდობა/უნდობლობის პროცესში) რესპუბლიკის საბჭო შედარებით მეტი უფლებამოსილებებით იქნება აღჭურვილი.

ში, <<http://liberali.ge/blogs/view/25863/orpalatiani-parlamentis-perspeqtiva-saqartveloshi>> [12.04.2021]; ყურაშვილი კ., ჩოკორატია კ., ბუჩუკური ა., ბიკამერალიზმის დილემები, ბათუმი, 2011, 79.

⁴⁸ მაგალითად, იგივე ე.წ. შემთანხმებელი კომისიების ჩამოყალიბებით.

⁴⁹ მაჭარაძე ზ., ორპალატიანი პარლამენტის იდეა საქართველოს კონსტიტუციაში, წიგნში: კონსტიტუციონალიზმი, მიღწევები და გამოწვევები, მ. უგრეხელიძისა და ბ. ქანთარიაშვილის რედაქტორობით, თბილისი 2019, 724.